




ნახ. ჯ. ლოლოვახი

ქოლგეულნე—უხეში საკვების გეგმა ჩაგვეზალა, რა ვქნათ?  
თავმაჯდომარე—ოუ კაცი ზარ, ამისთანა უხეში კოხვით ნულარ შემაწუხება...



*ბ. კ. რ ძ რ*


# პირველი თავი

## "უძრავის მეტები"

როდესაც სტუმრებს ელოდებან, წინასწარ სამზადისს და წყებების ქართველები, უნდათ ჩაც შეიძლება მცირდელი და საკადრისი სუფრა გაუმალონ, გაართონ და ასიამოვნონ სტუმრები. სპორტშიც ასე, სტუმრების მისაღებად წინასწარ ემზადებიან ქართველი სპორტსმენები, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა კანონი შექმენდებს: ჩაც უფრო მეტად მოემზადები, მით უფრო „აწყენებ“ სტუმრებს, თუ სულ არ მოემზადები — „გაახარებ და ასიამოვნებ“.

ორდა, ქართველმა სპორტსმენებმაც გაიგეს თუ არა, რომ მდლეოსანთა 36-ე საკავშირო პირველი თბილისში ტარდებოდა, გადაწყვიტეს გამოიჩინათ დიდი სტუმართმოყვარეობა და სულ არ მომზადებულიყვნენ შეჯიბრებისათვის, ჩათა ამით საყადრისი პატივი ეცავ სტუმრებისათვის. ვანზეას ვა სისრულეში იქნა მოყვანილი, თქვენ წარმოიდგინეთ, სულ ითლად — ფეხისა და ხელის გაუნძრევლად. ეს გასავიტიცა, ჩადგან, ქართველი სპორტსმენების წარმოდგენით, თუ ჩეულებრივი სტუმართმოყვარეობა ეთიას ჩაულ კანონებს შეიცავს და მას-პინძლისაგან უსლრესად დახვეწილ ზრდილობის მოითხოვს,

### ნოეარი სტარონა



— ვაძ, ჩა „ცოჩნად“ ზომავენ, ეფუძა ახლები არია! ..



მარათონული რბენის ოსტატზა კუზნეცოვმა ხარე-კორდო მოკლე დროში, ჩაღაც ორიოდ ხათში, დაათვალიერა საქართველოს ღირსშესანიშნავი აღვილები: დიმის საბჭოთა მეურნეობა, ზემო ავჭალის ჰიდროელ-სადგური, ჯვრის მონასტერი, ხეედიცხოველი, საქარ-თველოს ძეგლი დედაქალაქი — მცხეთა, და ღრმა შთა-ბეჭდილებებით სავსე დაბრუნდა თბილისში, ფინიშთან.

სპორტული სტუმართმოყვარეობა სულ მარტივია — აქ საქმარისი გასსოვდეს მშობლების დარიგება იმის შესახებ, რომ სტუმარს უგვილი უნდა დაუთმო. ესაა და ეს.

პირდაპირ სასიხარულო და საამაყა, მართლაც რა ზრდოლობიანი ახალგაზრდები გვეზრდებინ — მამია ტუოუშმა ერთ-შეშავ სამ სტუმარს დაუმიმო აღგილი და თვითონ მეოთხე ადგილით დაქმაყოფილდა; ასევე კარგად აღზრდილი ჩანს ჩ. შევ-ლაყაძე, ისიც მეოთხე ადგილზე ჩაეკეტა სტუმრებს შორის. ნ. დვალიშვილს კი, ეტყობა, მორცხვი გოგონა უნდა იყოს, სტუმრებს მხოლოდ ეჩვენა და მერე აღარც გამოჩენილა, აწი თქვენ იხტინავთ და იმხიარულეთო. განსაკუთრებული პატივის ცემით უნდა მოვისესნიოთ ლევან სანაძე, რომელიც არა-თუ სტუმრებს, შინუალებსაც მოერიდა და „სუფრაზე“ საერთოდ არ გამოჩენილა. ერთადერთი ნინო დუმბაძე იყო, რომელმაც მხოლოდ პირველი ადგილი დასთონ და მეორეზე აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, ქართველი სპორტსმენებიდან „სუფრის თავში“ აჩავინ არ მოქცეულა, თავის შერცხვენაა და მეტი არაფერი... ნუთუ ერთი „სათამაღო“ კაცი მაინც ვერ გამოძებნეს საქართველოში თვითქმაყოფილების სენიორ დაავადებულმა ფინულტერის კომიტეტმა და მწვრთნელულებმა? ისინი მშობლისა და აღმზრდელის ამაყი ღიმილით შესცემორინენ ჩერენს მძლეოსნებს. მხოლოდ მეცხრე ადგილზე გამოსული ჩვენი ფეხბურთელები დაჲყურებდნენ ქედმაღლურად მეათე ადგილზე გამოსულ მძლეოსნებს!

ობება ალფაიდე



ცდა ბედის მონახევრეაო, ფიქრობდნენ თბილისელი ფოტოორესბონდენტები და დიდხანს იცდიდნენ, გაგრამ ცდა „უბედობის“ მონახევრე გამოდგა: საქართველოს ხამოცხენებმა ვერც ერთი ჩეკორდი ვერ დაამყარეს.



# სამართლის



უცნაური შემთხვევის მოწმენი გახდნენ ამ ცოტა ხნის წინათ მარნეულის რაიონის სოფელ ხოჯორის მცხოვრებლები. კოლმეურნეობის ფერმის კარებთან თავი მოყენა მინდვრიდან დაბრუნებულ ღორის კოლტს და საღორეში შესვლაზე სასტიკი უარი გამოცხადებინა. დასაგოჭანებელი დედა ღორები თუ ქოშმენები დაცემენტებულებივით გაჩერებულიყვნენ და გაჯვრებულ მეღორების ყვირილსა და ძახილს მხოლოდ ღრუტულითა და ყურების პარტყუნით უპასუხებდნენ.

კოლმეურნეობის გამეობის წევრები ფერმასთან მოგროვილიყვნენ. ზოგი რომ სიმინდის ტაროებს ყრიდა საღორეში. ზოგიც რეოთი აპირებდა ღორების სადგომში შეტყუბას, მაგრამ ყველანაირ მაცდურ იონებს გაჯიუტებული ღრუტუნები უარით უპასუხებდნენ და ადგილიდან ფეხს არ იცვლიდნენ. ჩხების ხასიათზე მოსული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბაროიანი ფერმის გამგეს ტონიანს ტუქსავდა და ისედაც შეშინებულ ამაიაკას მოხსნით ემუქრებოდა.

— არა გვაქვს საქმე წესიერად დაყუნებული, ღორები თავის ბინას ვეღარაცნობენ, სიყვარული მშობლიური კარმიდამოსი ვერ ჩაუნერგე, და, აბა, მითხარი, ყველივე ამის შემდეგ, რაღა ფერმის გამგე ხარ და რაღა მზრუნველი უფროის?

— რა ვქნა, ამხანაგო თავმჯდომარე, თქვენს დაპირებებს ხშირად ხმამალლა ვუკითხავთ, თითის ფრჩხილები მავათ ფხანითა მაქვს დაცვეთილი, ძუძუვოჭობიდან სულ მუჭაზე მყავს გაზრდილი. მართალია, თქვენი წყალობით ბევრჯერ საჭმელიც მონატრებით, მაგრამ წესიერი ღორი განა ასეთ უბრალო რამეზე დაემდურება საყვარელ თავმჯდომარეს?

სამუშაოდან დაბრუნებული კოლმეურნები ერთმანეთში კამათობდნენ და ღიმილით მისჩერებოდნენ ღრუტუნებს.

— მეგლი იქნება საღორეში და ეგარი. — ჩაილაპარაკა დიდი ხნის ღუმილის შემდეგ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ.

— მეგლი კი არა. მობეზრდათ ამ საცოდავებს ასეთი ცხოვრება. აქაო და უსახელო წერილების წერა მაგათ არ იციან და ინტრიგაშიაც ძალიან მოისუსტებენ. არც ცხვრის ფარეხების შეკეთებაზე ზრუნავენ და არც კიდევ საღორებზე. ხარების ბოსელს ქედლები დაენგრა და გუშინწინ ჭილობი ააფარეს, სუსხიანი ქარი ისე თამამად დასეირნობს ფერმებში, რომ ერთი წლის განმავლობაში ამ საწყლებმა 106 ღვიძლი ნათესავი ღორი გამოიტირეს და 214 მსხვილფეხა საქონელი. დედა ღორები არიან, ცრემლით დაულბათ თვალები — 335 გოჭილან მოუვლელობით 81 მოუკვდათ. აბა, ამის შემდეგ, ერთი მითხარი, რა გულითოა შევლენ ამ ცოდვიან ჭერიატაკიანად დანგრეულ წყლით სავსე სადგომში!

ბრძოლა საღორეში შერევისათვის ისევ გრძელდებოდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მრავალნაირი ცდის შემდეგ გადაწყვიტა თვითონ შესულიყო საღორეში და პირადი მაგალითით დაენაცვებინა უმაცდური პირუტყვებისათვის, თუროვორა ცდებოდნენ ისინი თავიათი შეუგნებლობით. მან საღოროის კარებთან შეგროვილი ცნობისმოყვარები ქეთ-იქით გასწია და ისეთი სისწრაფით შევიდა ჩაბნელებულ სადგომში, რომ მეღორებმა მისი შეჩერება ვეღარ მოასწრეს. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი კაზმული სიტყვები გამოურია მოწოდებასა და ძახილში, როგორიც მხოლოდ და მხოლოდ იმ საღოროს შეეცერებოდა.

— ამწიეთ, მაღლა ამწიეთ და ამ წებოსავით ტალახიდან როგორმე ამობაძერინეთ. ფრთხილად, ფეხსაცმელს ლახჩები არ მოსცერეს! — გაიძახოდა თავგრძელობარე და კოჭებამდე ტალახში ჩამდგარი ტორტმანებდა. — შენა ხარ დამნაშავე. შენ! რამდენი ხანია, რაც გითხარი — აგრილდება თუ არა, ეს ტალახი აუხიცე და საქმეს მიხედუ-მეთქი! ეს არის შენი მუშაობა, რომ ტალახიდან ვეღარ ამოვდივარ?

ამაიაკამ თფლი მოიწმინდა, თვალები საღოროის ჩამონკრეულ სახურავს მიაშტერა და ერთი ისეთი ამოიხენეშა, რომ ღუმილის ხასიათზე მოსული ღორები ტუხტუხით გამოეძასუხნენ. შემდეგ თავგრძელობარეს მიაშურა, მეღორების დახმარებით ტალახიდან ამოგლიჯა და გარეთ გამოიყვანა. სამშვიდობოზე გამოსული ბაროიანი წელში გასწორდა და შეკრებილ ფერმის მუშაკებს გადახედა.

— ისე, სიმართლე რომ თქვას კაცმა, ტალახი ზოგიერთ წუმბესავით ცივი არ იყო. თბილად იქნებიან ეგ სამგლები...

— მაგ ჩემებში რა სიცივე გატანდა, ამ საცოდავებმა იყითხონ, რომ ჩლიქეჭში არც წინდის ჩატანება შეუძლიათ და არც კიდევ თბილი ნაჭრისა, თორებ თქვენ რა გიშავთ! — უპასუხა ახლა კი უკვე გულზე მოსულმა ფერმის გამგემ.

— რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ? — შეეკითხენ კარგა ხნის ღუმილის შემდეგ თავგრძელობარეს.

— რა ვქნათ და, რაიონს დავურევოთ. აღმასკომის ვაცნობოთ და ასეთი ჯიუტობისათვის მარნეულში სამწვადები გავამრავლოთ.

არ ვიცი, მარნეულის რაიონიდან ჩასულმა ამანაგება რა ზომები მიიღეს, როგორ შერეკეს აროტესტუზე დამდგარი პირუტყვი სადგომში, მაგრამ ღრუტუნების დასაკმაყოფილებლად, ჩვენის აზრით, ყველაზე უჭრო უკეთესი ღონისძიება ბინების შეკეთება, სისუფთავე და საკვების მომარაგება და ამ საკითხზე კი. რატომლაც. არც რაიონიდან მომაგრებული ამხანაგები იწუხებენ თავს.

3. კახელიშვილი


პინოჟილებების მიხადვით

ნახ. გ. გოგოლების

ერთობენ და მოგორის



სიმღერები ქუჩებზე




გელოდევ



გვზაფრობა ხახიფათო იქნება

არც ისე იჯვიათი  
„ვენოსვევა“




# ნარევი

კომისარი იუმილი გადა  
გირდი მომართება

ხახული ერაში  
— გესამედ

— "კაქო ყაჩალი" და-  
გაფიტუდა? ზენ ხომ ზე-  
პირად იცოდი!..  
— მაშინ თორმეტი  
წლისა გიყავო...  
ნახ. მ. ჯიშევარიანის



ნახ. გ. ფირცხალავაძე



"სტილი" გიში ბებიასთან

— ჩემი ედ უარი, შემოგევლობ ბებია, პიჯაი კარგ შეგიძლია, შეილო, მაგრამ  
ბებია ჩემ ა გამოგხვდია! მაგრია არ გეო, თუ მეტავად მოგვარა, იმ ამოხა-  
ლებმა, გა?

ნახ. გ. ლომიაძე



ხეა მი: — მეც შემიზეთ ოე-  
ტრავი, მეც ხომ ჭრივინა გარ!



— საქულ, კიდევ ვერ მოეწყვე სახაშეზი?  
— ვერა, კაცო.  
— მაშ კინომექანიკოსად მაინც იმუშავე, „მებაზებ“ დაგიძახებენ.

## ცილი

— უცნას უნერი პროგრამაში დიდი ატრაქ-  
ციონი გვაქვს — ვეფხვი და კრავი თანამობრი  
ცხოვრობენ ერთ გალიაში.

— და არასოდეს არ ჩხუბობენ?  
— ხანგაძან.  
— მერე?  
— მერე არაფერი, ახალ კრავს ვყიდუ-  
ლობთ.

## აღმოჩენა

— რაც გინდა თქვი, და, ბუნება დიდი ის-  
ტატია. — მიმართა ქმარმა ცოლს. — მიღოთ  
ნი წლის წინათაც კი სცოდნია, რომ ადამია-  
ნები სათვალეებს გაიკეთებდნენ.

— არ მესმის, რას ამბობ?  
— აბა, დააფირდი, რა ისტატურად არის  
მოწყობილი ჩვენი ყურები სათვალის სატა-  
რილოდ.

## სიცარული გამოლაზიაში

კრისტი ცნობილი მოგზაური გრენლანდიიდან  
დაბრუნდა:

— ესეიმოსთა ენაზე, — უყვება იგი საზო-  
გალოებს, — ვაგალთად, მიყვარხარ, გა-  
მოითქმის: „უნიფიგსრედტუინალფინაუნ-  
როზიფიგურავ“.

— სავებით ბუნებრივია, — შენიშვნავს  
ერთი მსმენელთავანი, — იქ ხომ ღამე ექვს  
თვეს გრძელდება.

## იდეალური ცოლი

ქედმილობით ცნობილი, საქმიად ზარმაცი  
და დიდი პრეტენზიების მქონე ქალბატონი N  
ერთხელ ნაცნობ კექილს შეეფთხა — რას  
იტყვით, ხომ იდეალური ცოლი ვიქნებოდია?

— მე თქვენ იმდენად გონიერ ქალად  
გთვლით, — უპასუხა ადვოკატმა, — რომ არა  
მონია ცოლად გაჰყვეთ ისეთ სულულ კაცს,  
რომელიც თქვენს შერთვას მოინდომებს.

ნახ. გ. ლევაძე

# კურთ დემოკრატი

1936 წლის 1936 წლის  
1936 წლის 1936 წლის



ტრამვაის ვაგონში ვზივარ და ფინჯრილა გავაჩერი ხალხმრავალ ქუჩას.

— საწყალი ცირა! — მეს-  
მის ქალის ხმა. — ამას წი-  
ნათ ვნახე. როგორ გამზღარა.  
როგორ გაუჭებულია, ბედი  
არ ჰქონია საწყალს.

სხვათა შორის, ჩემს ცოლ-  
საც ცირა ქვეით სახელად და  
შომხიარობის შემდეგ ისიც  
ძალიან გახდა. — ნუთუ იმ  
უწოდ ცირასაც ასეთ ბედი  
ეწი? — ვჭიქრობ ლიმი-  
ლია.

ეს, ჩემი ვიოლეტი! — ისმის მეორე ხმა. —  
ვალიკ კოშაძის ხელში ცოცხალი რომ არას. ისიც  
საკირველია.

ეს სიტყვები ლახვარივით მხვდება გულში. ვა-  
ლიკ კოშაძე ხმი მე ვარ და ცირაც. ჩემი ცოლია.  
ნუთუ ჩემი ალაპრაყი? ან გინ არიან ეს ქალები?

მალულად ვახებდი მოსაუბრებისაკენ. ჩემსკენ  
ზურგშებრუნებული დღას ორ კოსტენად გამოწყობი-  
ლი. ახალგაზრდა ქალი, მათ სახეებს ვერ გეხდავ.  
სხვარივ კი არც ერთი მათგანი არ მეცნაურება.

— რამ, ხომ არ ურეს? — კითხულობის ქალი  
რომელსაც ვიოლეტია უწოდეს.

— ნულარ მყითხავ, დაო, — ისმის პასუხად. —  
როცა საცოლადამ გოგომ თავისი უბედურების აჩა-  
ვა გამანდო, პირდაპირ გული მომიკვდა. აღარც  
ძილი ყოფილა მისივის და აღარც მოსხენება; ლა-  
მების თეთრად ათენებს თურმე თავისი ლოთი და  
გარყვნილი ქმრის მოლოდინში, ის კი მადლობის  
ნაცვლად ლანძლება-გინებით უჯასანძლდება ცოლს.  
ხანდახან, — აյ მოსუბრე ხმას უკუდეს და თით-  
შის ჩერჩილიის ამობს: — ხელითაც კი შეეხება  
თურმე უბედულს.

— აპ! არა, ნამდევილად სხვა ვინმეზეა საუბარი, —  
ვუიქრობ შეშთოთებით. — რა საშინელებაა, რომ ეს  
გადაგვარებული ტიპი ჩემ სახელსა და გვარის ატა-  
რებს!

— უი! უი! — ჩერჩილი მთექამს ვიოლეტა. —  
ეგ უნდოდა, ეგ ექადრებოდა ამ ანგელოზივით  
გოგოს? ხმი გახსოვს, ჩემი ლამზირა, როგორი  
წყარი და მორჩილი გოგო იყო ცირა: სწავლაზე  
გადაყოლილი, საუცხოო მეოჯახე. აფსუსი არ არის,  
რომ შესაფერი ქმარი არ შეხედა? ნუთუ იმ მხე-  
ცისათვის გაზრდა ქალი საწალამა ქიხტისრომ!

ვერდნობ, როგორ მეყინება სისხლი ძარღვებში.  
ქახოსრო ხმი ცირის მამა, ჩემი სიმარი ახლა  
უკვე ეჭვი აღარ შებარება იმაში, რომ ამ უცნობი ქა-  
ლების საუბრის თემას სწორედ მე და ჩემი ცოლი  
წარმოედგონ. მაგრამ ვინ შეთიხნა ჩემზე ეს სა-  
ზიზღარი ცილისჭამება? იქნებ ცირამ? მართალია,

მე ზუგურ გვიან მიყდივარ სახლში, მაგრამ ეს ხდე-  
ბა მაშინ, როცა ლამის ცელაში მიწევს მუშაობა, რაც  
ძალიან კარგად იცის ცირამ. მაშ რად დასტირდა მას  
ჩემი გალაზმლება? ნუთუ მას ჩემი სიყვარული და პა-  
ტივისცემა აქლია? ხელითაც კი შეეხება, — მო-  
სირცეცია!

— ძელია, ძელი ყველაფერი, გენაცალე, — მეს-  
მის ამ დარი ლამზირა ხსა. — ააა, ჩემი ქმრისაგან  
ჯერ ტკბილს სიტყვის მეტი არაფერი მსმენია. სულ  
იმის ცდაშია, როგორ მასიამოენოს და გამარის.  
რაც მართა, მართება, მეც ძალიან გუწყობ  
ხელი ქმარის: თავის ძროზე ცხელი საგმელი, გრეუ-  
ბილი, გაუთოებული ტანსაცმელი! სეთი ხელის-  
უწყობა, რომ ჰქონდეს ცირას ქმარის, აღამათ, ისიც  
არ იქნებოდა ისეთი უტანელი ხსიათისა. ისე,  
ჩემი შესაძლებელი ცირა არ იყო მაინცდამანც  
მოლად უნაველი ხსიათის ქალი.

— ნაკლოვანებიში, იციცხლუ, ბევრი ჰქონდა, —  
ფიცხლუ უმატებს ვიოლეტა. — ისე იყო განებივ-  
რებული მშობლებისაგან. რომ საოჯახო საქმეებისა  
არაველი გუცებოდა.

ჩემს არისებაში აღმოფოთების გრძნობას გაოცება  
ცვლის.

— ოძერაში სიარულისა და მოდების მეტი არა-  
ფერი აინტერესებდა, განაგრძობს ვიოლეტა, —  
წიგნი მაგანის ხელში არ მინახავს და კალამი. ინსტი-  
ტუტი რის ვაიგცალახთ დამათავრა. მთელს ინსტი-  
ტუტში მეორე არ მოიძებნებოდა მაგისთანა ანჩხლი.  
კაასა და უქარა გოგო.

— ნუთუ მართლა ასეთი იყო:  
ჩემი ცირა. — ვუიქრობ გა-  
ცეცხლუ, — ჩემი წყნარი, გა-  
მრჯე და დაუზარელი ცირა.  
რომლის შეოხებითაც ჩემი  
ოჯახი სათითოით არის აწყო-  
ბილი.

— როცა მაგ აღდაგის გა-  
თხოვბის ამბავი გავიგე, მი-  
სი ქმრის საცოლადით დავი-  
წვი, საწყალი ბიჭი ვის გადა-  
ეყარა-მეორე. მერე, როგორც  
ამონბენ, შესანშავი აღ-  
მიანია თურმე: ჭევიანი.  
ზრდილობანი, უაღრესად  
კულტურული...

— ამას ამბობს ლამზირა, ის  
ლამზირა, რომელიც ამ რამ-  
დენიმე წითოს წინ მიწასთან  
მასწორებდა; ჩემი განცვიუ-  
რება უმაღლეს წერტილს აღ-  
წევ.

— კაბის კალთაზე ჰყავს

გამიბმული იმ აშარს, — მე-

სმის ბურანშე მყოფს, — სა-

წყალ ბიჭი ცხელი საჭმლის

გემო დაავიწეულა. ტანსაცმელს თვითონ ირეცხავს და  
იუჟუებს თურმე. პირდაპირ მიკვირს, როგორც უძ-  
ლებს ამდენ ტანჯვას...

ტრამვა ჩერდება. ქალები საუბარს წყვეტილ და  
უუსფუსიან ჩადან გავინიდან. გაძრაზებით ვაკვირ-  
დები მას სახეებს. ერთი მათგანი თითქოს მინახავს  
საღლაც, მაგრამ ვერაფრით ვერ მომიგონებია სად.  
მომდევნო გაჩერებაზე მეც ჩამოვდივარ, გაოგნე-  
ბული მივეურუები სახლისაკენ, მივდივარ ცოლთან  
და ვთხოვ ამისნას, ვინ არიან ლამზირა და ვით-  
ლეტა.

ცირა ვაკვირებული მიყურებს. ეტყობა, ვერ  
აგონდება... მერე გაიღომებს და მეტყვი:

— ლამზირა და ვიოლეტა ჩემის უკულტიტუ-  
სწავლობდნენ...

გურა გურა გურა გურა



— ქალი შვილო, ერთხელ ჩემის უკულტიტუ-ს ჩაიხედე.

ნაბ. 2. ლომიძისა



# ჭარხი დოკუმენტი

როდესაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიტყვეს ახლი სტრუქტურის შესახებ, თანამშრომლებში ერთი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ზოგ თანამშრომელს დაწინაურებას უწინასწარმეტყველებლენენ, ზოგის დაქვეითებაზეც ჩურჩულებლენენ. წინასწარი დასკვნებიც გამოპქონდათ და ისეთი მღელვარებით მოელოდნენ ახლადდამტკიცებულ შტატის შესახებ ბრძანებას. როგორც ფეხბურთის მოყვარულნი მატჩის შედეგს. ზოგი დარწმუნებული იყო თავის ვარაუდში, გონების თვალით თავი ახალ ადგილზე წარმოედგინა, ზოგს კი დაქვეითების შიში ჰქონდა და ყურებდა-ცეკვეტილი უსმენდა თანამშრომლების მითქმა-მოთქმას. რა იცოდნენ მაშინ. რომ ეს ვარაუდები ამინდის ბიუროს პროგნოზებით მცდარი გამოლებოდა.

ყველამ იცოდა, რომ შტატის მიხედვით კადრების შეჩრევა სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების სამმართველოს უფროსს, მარიამ ევგენის ასულ მაცაბერიძეს და ამავე სამინისტროს შრომისა და ხელფასის სამმართველოს უფროსს გრიგოლ იასონის-ძე თავზარავილს ჰქონდათ მინდობილი. სამინისტროს თანამშრომლები ხშირად გამოყენებული და შეაჩერებული სახეში ხან მაცაბერიძეს, ხან თავზარავილს. მაგრამ ეს უკანასკნელნი ჯაუტად დუმზნენ და გამოცდილი ფსიქოლოგიც ურ გამოიცნობდა მათი მრავალმნიშვნე-

ლოვანი დუმილის ერთ მნიშვნელობა-საც ა...

და, აი. დადგა 1955 წლის 28 სექტემბერი—სამინისტროს ახალი სტრუქტურის შესახებ ბრძანების გამოცემის დღე. ამ დღეს სამინისტროს მუშაკება-სამართლიანად მიიჩნევენ დიდი გაოცების დღედ.

პირველი დიდი გაოცება წილად ხელა მთარ ქუთათელაძეს; რომლის შესახებ ბრძანება იტყვიბინებოდა: დაინიშნოს სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების სამმართველოს უფროსის მოადგილედ და მთავარი ინჟინერ-მექანიზატორიად. მთარ სირცხვილისაგან გაწითლდა, ზოგმა კი ეს მოკრძალებად ჩაოვალა „სამმართველოს უფროსის მოადგილება კიდევ არაფრი, — ფიქრობდა შეშეოთებული ქუთათელაძე, — მაცაბერიძე რასაც აეტობს, იმას მეც შევძლებ მაგრამ ინჟინერ-მექანიზატორია? კაცს საშუალო სასწავლებელი დამიმთავრებია მხოლოდ და ინჟინერ-მექანიზატორია სოფლის მეურნეობის დარგში როგორლა შევძლო? ჩახვალ რაიონში და ემტევესის უბრალო ტრაქტორისტი კიბოსავით გაგაწითლებს“.

ეპ. რა იცოდნენ იმ საშუალო სკოლადამთავრებულებმა, წელს რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვერ ჩაირიცხნენ, თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ასეთი ამბები ხდებო-

და; როგორმე ნაცნობ-ნათესაობას დაიკაბრებლენ და ინსტიტუტის დაუმთავრებლები მიიღებლენ ინჟინერს დიპლომს.

ახლა იღია სოლომონის-ძე გოგორი.

შვილის გაოცებული სახე უნდა გენახა ა. ოცი წლის სტაციონი აგრონომი ყველა ფერს იფიქრებდა, ხორბალი დავთესეთ და პიტნა ამოვიდაო რომ ეთქვათ, დაიჯერებდა, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდა. უფროს ინჟინერ-მშენებლად თუ დანიშნავდნენ მატერიალურ-ტექნიკური მომარავების დარგში. გაოცებული იღია გონების თვალით ახლა რაიონების ემტევესების მუშავთა არანაკლებ გაოცებულ სახეებს ხედავდა. რომელთა წინაშე ოცი წლის სტაციონი აგრონომი ავარერა ინჟინერ-მშენებლად უნდა წარმდგარიყო. „თანამდებობა და მეტი ხელფასი თავს როდი ამატებებს“. გაიფიქრა გოგორისშეიღმა და პროტესტს თავმდაბლური დუმილი არჩია. ამდენი ხანია კაცი სამინისტროში მუშაობს და განა არ იცის რომელ უფროსს რა უფროსწონს!

გაოცებამ ზენიტს მიაღწია. როდესაც ხანდაზმულმა აგრონომმა სანდრო კასრაძემ ბრძანებაში ამოკითხა თავისი ახალი და უჩვეულო თანამდებობა — ინჟინერ-მიწათმომწყობი. სიბერეში შესულ სანდროს მუხლები აუკანებადა. როდესაც წარმოიდგინა, თუ როგორ მოუხდებოდა კლდე-ღრეში და მინდორველად სიარული და მიწის ზომვა. გაოცებულ კასრაძეს თანაგრძობით დაკვრახელი ირაკლი ქაჩიბაიამ — მე შენზე უარეს დღეში ვარ, ჩემო ძმა, კაცი აქამდე აგრონომ-სუბტრობიკად ვთვლილი თავს, უცებ უფროს ეკონომისტად მომნათლესო. იქვე მდგომ რუსულან სირბილაძეს ამის გავინებაზე გუნებაში გაეღიმა: ამას რა უკირს, უმაღლესი განათლება მაინც აქვს და ეკონომისტობას ავად თუ კარგად მაინც შესძლებს; საოცარი ისაა, რომ მე საშუალო განათლებით გარ და უფროს ეკონომისტად დამნიშვნეს. მაშ რა ეგონათ, ახალგაზრდას რომ სხვა შნო და მარიფათი აქვს, განაარ იციანო?

მაგრამ არც ისე გულუბრყვილოა რუსულანი, რომ თავისი ფიქრები ხმამაღლა გამოეთქვა.

გაოცებულნი არ იყვნენ მხოლოდ მ. მაცაბერიძე და გ. თავზარავილი. მათ სამინისტროს თანამშრომლებისათვის თავისებური პროკრუსტეს სარეცელი მოწყება, იმ განსხვავებით, რომ პროკრუსტესარეცელზე მთარებდა ადამიანს და მერე ფეხებს წაკრიდა; უდაგილო ადგილზე „მორგებულ“ თანამშრომლებს კი, ასე უთავბოლოდ დანიშვნის წყალობით, ვაითუ სირცხვილისაგან თავი მოჭრათ!

ამბობენ, ასე გაოცებულნი მარტი სამინისტროს მუშავები კი არა, რაიონების ემტევესების თანამშრომლებიც არიან.

იმასაც ამბობენ, რომ სამინისტროს თანამშრომლები დღემდე გაოცებულნი არიან და არავინ იცის როდემდე გაგრძელება ასეო.

არ ვიცით, რატომ არ გაიცეს ეს უცნაური ბრძანება ფინანსთა სამინისტროს საშტატო სამმართველოს მუშავებმა რომელთაც ეგადებათ კონტროლი საშტატო საქმეებში. ჩვენ გაოცებული ვართ მათი გაუცებლობით.

გ. გალდავაძე

3. სასუკვიელი

ნახ. ა. ბანდელაძისა

## საკათაგი პასუხისმომავლი



— გეთუობა, პირველკურსელი ხარ, რუსთაველის პროსპექტიდან პირ-

დაბირ ლექციაზე მიდიხა!

— მაშ, მეხამეც რესელი როგორლა იქცევით?

— რუსთაველის პროსპექტიდან პლეხანვის პროსპექტზე ჩაფინიარობოდა.

ხოლმე.

1. მწერლის ქუდმა თქვა — ჩემს პატრონს იუბილე ხომ არ ვგონივარ, წარამარა რომ მიხდისო.


2. მელანშა თქვა — ჩემს გაფლანგვაზე რომ სასჯელი იყოს, ზოგი პოეტი ცისიდან ცხვირს ვერ გამოჰყოფდა.

3. ბურთმა თქვა — ეგ რა სამართალია — სხვას აჯარიმებენ, მე კი მირტყამენო.

4. ცხვარმა თქვა — საქმე სატიროლად მაქვს და მაინც ვიქებით.

5. თბილისის ერთ-ერთ არტელში — შეკერილმა ფეხსაც-მელშა პატრონს სახლამდე გაუძლო და გაჭვირვებისაგან პირი დააღო.

ნახ. დონისა



— ჩა სასჯელი დაადეთ თქვენს ნოქარს, წონაში რომ—  
ცუუებდა მყიდველებს?

— სასტიკი ფართლის მაღაზიაში გადაიყვანეთ, ხახ-  
წორთან ალარ ექნება საქმე!

### კატეგის მოძულე

ცეკავშირის საკომისიო მაღაზია №-ში დარბაისლური გარე გნობის, შუახნის კაცი შევიდა და გამყიდველს მიმართა:

— ვისთან ინახება ქების წიგნი?

— ქების..

— დიახ, მინდა მადლობა ჩავწერო.

— ჩვენ მხოლოდ საჩივრის წიგნი გვაქვს, — უპასუხა გამ-  
ყიდველმა — თუ მიბრძანებთ, მოგართმევთ და ჩასწერეთ.

— არა, არა, არაფრის გულისტვის, საჩივლელი რა მაქვს...

— კი, მაგრამ რისთვის გვიხდით მადლობას? — დაინტერეს-  
და გამყიდველი.

— გუშინ თქვენგან ყველი, წავიდე და მისმა სუნმა ისე და-  
აფრთხო მეზობლის კატა, რომ ახლოს აღარ გვეკარება.

### დავალება

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გახურებული რთველის დროს ქორწილი გადაუხადა თავის გაუიშვილს. კოლმეურნები დაბატიფა, სამი დღე იქეიფა და კიდევ აპირებდა ღრეობის გა-  
გრძელებას. ეს გაიგო რაიონული გაზეთის რედაქტორმა, ფოტო-  
კორესპონდენტი აფრინა და დაავალა შეუმჩნევლად გადაეღ

მოქეიფე კოლმეურნეთა სურათები. ფოტოკორესპონდენტი მეორ-  
ე დღეს დაბრუნდა რედაქციაში, გადაღებული სურათები და-  
ბეჭდა და გაოცდა — სულ ერთიდაიგვე კაცი გადაეღო, ისიც  
აპარატით ხელში: თურმე დამთვრალიყო და თავის თავს იღებდა  
სარკეში.

### ერთადერთი ქოშაზი

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ შოთა რუსთაველი გა-  
ცოცხლდა და თავის სახელობის მოედანზე გაიარა თბილისში.

უცრად მან თვალი მოპრა ძევდს.

— ვინ არის იგი ყრმა ვაჭარი. ლურჯი და პირდაღრეჯი-  
ლი? — იქითხა მან.

— თქვენი ძევლია, დიდებულო შოთა! — გაუბედავად წა-  
მოიძახა თბილისის არქიტექტურის სამმართველოს წარმომა-  
ღენელმა.

— გამ გრძემლი მიბოძეთ! — ბრძანა რუსთაველმა და სა-  
ხელოები აიკეცა.

— გრძემლი? რად გინდათ?

— გასტეს ქვასაცა მაგარსა, გრძემლი ტყვიისა ლბილი-  
სა. — იყო პასუხი.

ედ. ჟილიანი



თავექსო ხუმრობა მ. კუხალაშვილისა

ნახ. გ. ფირცხალავასი

სილაპორი — ვახტანგ ჭელიძე.

თბილისი. Сатирико-юмористический журнал «Нианги».

საჩედაბელი კოლეგია: ა. ბელიაშვილი, მ. გიგინეიშვილი,  
გ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ხ. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის რობ. № 42. ფელ. 3-10-49.

გამომ. № 22, ჩემომოწ. დასაბ. 2/XII-1955 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა. მარჯანიშვილის ქ. № 5.

შეკვ. № 1360. უ. 08041 ტირ. 25.000

ნახ. ი. ქაჯაშვილის



სუროვის დღეს ლაზათიანი  
სახლი აგო ფასადიანი,  
და თავის „კოხტა“ ტანჩაცმულობის  
ახლი გადილო იმან „სრულობით“:

წინ—ბრვე სვეტები, ზემოთ—წვეტები.  
ზედ ჩუქურთმები, ცრუ ნაკეთები.  
უკან კი... სახლის მაგიერ, მარტო  
რაღაც ბუდელა ზემორჩა აფორს.